ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3357198

ნომერი: AR1517758

თარიღი : 26.06.2017

გაცემის თარიღი : 07.07.2017

გაცნობის თარიღი : 07.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღმის ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა კვიკვინია პ/ნ 58001005154
- თბილისი, მოსკოვის გამზირი 14ა, ბინა 154

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 26 ივნისის #AR1517758 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.306) ქალაქთმშენებლობი პარამეტყრების გაზრდას, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 თებერვლის #2410408 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 15 თებერვალს N01.72.14.040.306 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) განსათავსებლად #2410408 ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. იმ შემთხვევაში თუ გსურთ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანა საპროექტო ობიექტის ფუნქციის ცვლილების მიზნით საკითხი განსახილველად უნდა დააყენოთ #2410408 (15.02.2016) მიწის ნაკვეთს სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე. Tas.ge–ზე ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: >მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება; ასევე მოთხოვნის ტექსტში დააფიქსიროთ საპროექტო ქალაქთმშენებლობი პარამეტრები და თან დაურთოთ შესაბამისი დასაბუთების ალბომი, რომელსაც განიხილავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო”.
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განსახორციელებლად დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/ების შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობა ან თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ; ასევე შესაძლებელია ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრის (ვახტანგ ლაბაძე) კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მინდობილობა ან თანხმობა. აღნიშნული პიროვნება შესაძლებელია დააფიქსირდეს თანაგანმცხადებლად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 20 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 26 ივნისის #AR1517758 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.